მარინე ფუთურიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანული კულტურების ქრონოლოგიური კვეთის ამსახველი ინტერმედიალური ეტაპის კვლევისათვის

ძვ.წ. 4-3 ათასწლეულების მტკვარ-არაქსისის კულტურის შესწავლა მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს, თუმცა წარმოდგენილი თემა განსაკუთრებით ბოლო ხანებში იქცა მკვლევართა საგანგებო ინტერესის საგნად. მიუხედავად ამისა, ის დღემდე მაინც სადისკუსიოდ რჩება. აღნიშნული კულტურისადმი მოხსენება საგანგებოდ შევარჩიეთ ამჯერად, რადგან ის ბატონი თამაზ გამყრელიძის ფართო ინტერესის საგანი გახლდათ ყოველთვის. უპირველესად კი, ცხადია, ამ კულტურის არსებობის ხანაში საერთოქართველური ენის დაშლის პროცესთან დაკავშირებით. ეს ლინგვისტური პრობლემატიკა კი მტკვარ-არაქსისა და უშუალოდ მომდევნო ე.წ. ადრეყორღანული კულტურების ინტერმედიალური ეტაპის ქრონოლოგიურ-კულტურულ ურთიერთმიმართების საკითხსაც გარკვეული ასპექტით, ცხადია, კვეთს.

ქრესტომათიულად აღიარებული თვალსაზრისით, არსებითად, მე-20 საუკუნის ბოლომდე მტკვარ-არაქსის კულტურის განვიათარება სამ საფეხურად მოიაზრებოდა და მისი დასასრული ფინალურ ანუ III ეტაპად იწოდებოდა (ჯაფარიძე 2003, 96-124). არსებული მონაცემებისა და ახალი აღმოჩენების გადააზრების კვალდაკვალ გამოვლინდა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა, დღესათვის მიღებული აბსოლუტური თარიღით ძვ.წ. 2500/2400 წლებისათვის ერთბაშად და მოულოდნელად არ ჩანაცვლებულა ახალი, ადრეყორღანული კულტურის პლასტით, არამედ მათი თანაარსებობა გარკვეულმა ინტერმედიალურმა ფაზამ ასახა. ეს ფაზა დღეს უკვე განისაზღვრება ადრე ბრინჯაო IV/I -ედ, რომელიც გულისხმობს არსებული მტკვარ-არაქსის კულტურის იმ მოკლე მონაკვეთს, როცა მის წიაღში ჩნდება ახალი, მომდევნო ეტაპის ანუ ე.წ. ადრეყორღანული კულტურის პირველი არტეფაქტები. ეს კი მათი თანაარსებობის პროცესის ამსახველ ქრონოლოგიურ ეტაპს გულისხმობს. ამ ფაქტის აღნიშვნა მკვლევართა მიერ უფრო ადრეც იყო შენიშნული (ჯაფარიძე 1998, 49-52; ორჯონიკიძე 1992).

გვინდა აქვე განვმარტოთ ამ საკითხის შესწავლის ისტორიასთან დაკავშირებული მომენტიც, კერძოდ კი ის, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მე-3 საფეხურის ქვეშ ადრეც არავინ მოიაზრებდა და გულისხმობდა მის დასასრულსა და სრულ გაქრობას პრეისტორიული სინამდვილის სივრციდან. ამიტომ გაუგებრად რჩებოდა (თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამჟამად არსებული ძეგლებითაც დღემდე მაინც არ არის ბოლომდე ნათელი სურათი) თუ როგორ ასრულებდა თავის ათასწლოვან არსებობას ეს მძლავრი და ყველაზე ფართოდ გავრცელებული კულტურა და როგორ შემოდიოდა სულ მალე მის ჩამნაცვლებლად ახალი ადრეყორღანული კულტურა, გამორჩეული არაერთი სიახლით. მათ შორის გამორჩეული ინოვაცია იყო მმართველთა ელიტური ფენის - ბელადების კუთვნილი პრესტიჟული ყორღანული

კომპლექსები. ამ სიახლესთან ერთად ადრეყორღანული კულტურის შემოსვლას თან ახლდა არაერთი სხვა ინოვაცია, რომელიც დაკავშირებული იყო ხის დასაკრძალავ ეტლებთან, დაკრძალვის ახალ, რთულ რიტუალთან, სამეთუნეო ნაწარმის განსხვავებული ტიპის პროდუქციასთან და ოქრომჭედლობის ნიმუშების გამოჩენასთან. შესაბამისად, მტკვარ-არაქსის კულტურისაგან არაერთი განმასხვავებელი სიახლე ახლდა თან ადრეყორღანული კულტურის გავრცელებას შიდა ქართლის ტერიტორიაზე. შესაბამისად, ამ ორი კულტურის ურთიერთმონაცვლეობის საკითხი, რომელიც ღიად და გადაწყვეტის მოლოდინში რჩებოდა კარგა ხანს, ახლა, კონკრეტული ძეგლების საფუძველზე აშკარად იქცა განხილვის საგნად.

ამ პრობლემატიკაში მეტი სინათლის შეტანისათვის კი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ კი, შიდა ქართლის რეგიონში გამოვლენილი ძეგლები, რომლებიც ამ გარკვეულად ბუნდოვანი და რთული მოვლენის - მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანული კულტურების ურთიერთმონაცვლეობის პრობლემის გარკვევაში თითქოს მეტი მკაფიოობის შეტანის შანსს იძლევიან. ისინი საგანგებო მნიშვნელობის ძეგლებია სწორედ ინტერმედიალური ანუ ადრე ბრინჯაო IV/I ფაზის გააზრების მხრივ და ამიტომაც ქვემოთ შევეხებით მათ.

ახლა ზოგადად იმის შესახებ თუ რატომ უნდა შევხედოთ ამ თემას როგორც მნიშვნელოვანს და რატომ არის ეს ინტერმედიალური ანუ კულტურათა მონაცვლეობის ფაზა ასე მნიშვნელოვანი? საერთოდ ინტერმედიალური პერიოდის ფენომენის გასაგებად პრეისტორიულ კულტურებთან მიმართებით, ჩვეულებრივ, ძალიან ცოტა მონაცემები მოგვეპოვება ხოლმე, არადა სწორედ ეს ქრონოლოგიური მონაკვეთია (და, როგორც წესი, ის დროის მოკლე ინტერვალს იკავებს) როცა ერთ კულტურას ცვლის ან ერევა სხვა კულტურული ფენომენი და ის ახალ რეალობას იძლევა, ან კიდევ, რაიმე მოვლენის გამო საერთოდაც ქრება ესა თუ ის არქეოლოგიური კულტურა ისტორიის ასპარეზიდან.

პრეისტორიულ ეპოქასთან მიმართებით სწორედ იმის გაგება წარმოადგენს სიძნელეს თუ კონკრეტულად რა მოვლენებს ჰქონდა ადგილი და რამდენად რთული დინამიკის მქონე იყო ისინი. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე არც ისე დიდი ხანია საერთოდაც კვლევის დამოუკიდებელ ხაზად ჩამოყალიბდა ინტერმედიალური პერიოდების (ცხადია, ნებისმიერი ეპოქისთვის) მიზნობრივი შესწავლა, მისადმი საგანგებოდ მიძღვნილი სიმპოზიუმები და გამოცემებიც. ამ შემთხვევაში ინტერმედიალური ეტაპი გვაინტერესებს მტკვარ-არაქსის კულტურის მიწურულთან და მისი შემდგომი, ახალი ეტაპის ადრეყორღანული კულტურის შემოსვლასთან მიმართებით.

მტკვარ-არაქსის კულტურის თავის დროზე სამ საფეხურად დიფერენცირებამ ვერ გვიჩვენა ის პროცესები, თუ როგორ მოხდა ამ კულტურის წასვლა ისტორიის ასპარეზიდან და ახლი ფენომენის - ადრეყორღანული კულტურის გამოჩენა სამხრეთ კავკასიაში. იმთავითვე ცხადი იყო, რომ არსებული მონაცემებით რაღაც მონაკვეთის წაკითხვა თუ გაგება ვერ ხერხდებოდა, მანამ სანამ წლების შემდეგ, აქტიური სავალე კვლევების შედეგად არ გამოვლინდა ნამოსახლარი ძეგლები, სადაც ეს ინტერმედიალური კომპლექსები გამოვლინდა.

საერთოდაც, როგორც ისტორიულ, ისე პრეისტორიულ სინამდვილეში, ეპოქალური, და მით უფრო, თუ მასთან სინქრონულად ხდება კულტურული ცვლილებებიც, თითმის არასდროს ხდება მოულოდნელად, მყისიერად და იოლად. ეპოქის ცვლილება, ასევე კულტურის წასვლა ისტორიის ასპარეზიდან და ახალის გამოჩენა, ახლით შეცვლა ეს გარკვეული პროცესია, რომელიც დროის გარკვეულ ინტერვალს იკავებს და რომელსაც თან ახლავს ცვლილებათა მთელი ჯაჭვი. თუკი თანამედროვე ისტორიაში ეს თვალსაჩინოა, ძალიან ხშირად პრეისტორიაში ეს პროცესები მკაფიოდ არ ჩანს და ბუნდოვანია თუ რა მოვლენას ჰქონდა ადგილი. ასეა ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის შუა ხანებისთვის 2600/2500- ვიდრე 2400 წელი, როცა მტკვარ-არაქსის კულტურა ნელ-ნელა ამოწურავს თავის თავს (ჯაფარიძე 2006, 284-294) და იკვეთება - ე.წ. ადრეყორღანული კულტურის გამოჩენის პირველი არსებითი სიმპტომები.

ამჯერად სწორედ ამ საყურადღებო ინტერმედიალურ პერიოდზე, რომლის არსებობასაც სულ უფრო მეტი მკვლევარი აღიარებს, შევაჩერებთ ყურადღებას, ანუ კონკრეტულად დროის იმ მონაკვეთზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ, III ეტაპსა და ახალი კულტურის ცალსახად დამკვიდრებას შორის. სხვაგვარად, ეს ფაზა მაჩვენებელია იმ კონკრეტული პროცესისა, სანამ ახალი, ადრეყორღანების კულტურა საბოლოოდ გაბატონდება და ძლიერად და მკაფიოდ დაიკავებს ადგილს სამხრეთ კავკასიის სივრცეში. აი ეს არის ყველაზე დამაინტრიგებელი ის ინტერმედიალური მონაკვეთი, რომელიც გარკვეულწილად უკვე სულ უფრო ავლენს თავს.

ჩემთან და რამოდენიმე ქართველ არქეოლოგთან ერთად ამ პოზიციას იზიარებენ და მხარს უჭერენ სამხრეთ კავკასიის აღნიშნულ პრეისტორიულ მონაკვეთზე მომუშავე ევროპელი არქეოლოგებიც, რომელთა თვალსზრისებსაც ქვემოთ შევეხებით.

განსახილველ ინტერმედიალურ (ზოგჯერ ის იწოდება როგორც ტრანზიტული ან გარდამავალი), საფეხურს ახასიათებს არსებითი გარდატეხის დაწყება, რომელიც აისახა, უპირველეს ყოვლისა, მტკვარ-არაქსის დამახასიათებელ კერამიკულ ნაწარმთან ერთად ახალი, მარტყოფისა და ბედენის ჯგუფის უცხო ნიმუშების გამოჩენით, რომელიც დამახასიათებელია მომდევნო ადრეყორღანული კულტურისათვის. ამგვარი სურათი საკმაოდ კარგად გამოვლინდა კავკასიის სივრცეში, მაგრამ ყველაზე უკეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებში.

უპირველესად აღვნიშნავთ ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის ორ ნამოსახლარ ძეგლს, რომელიც გვიჩვენებს ჯერ კიდევ პრაქტიკაში არსებულ მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად ახალი, ე.წ. ადრეყორღანული კულტურის სამეთუნეო ნიმუშების გამოჩენას, თანაც ეს ეხება როგორც მარტყოფის, ისე მისი მომდევნო ეტაპის - ბედენის კერამიკას. ეს ფაქტი დადასტურებულია კავთისხევში გათხრილ ციხიაგორას ნამოსახლარის ფენაში (მახარაძე 1994, 73-76; Makharadze 2008, 63-104). ციხიაგორაზე, რომელიც მრავალფენიანი ძეგლია, დადასტურდა A და B -ედ დიფერენცირებული მტკვარ-არაქსული ფენები, რამდენიმე ჰორიზონტით. აქედან გამთხრელის მიერ B_1 ჰორიზონტი განეკუთვნა მტკვარ-არაქსულ იმ პერიოდს, როცა მის წიაღში პირველად ჩნდება ბედენური კულტურის ნიშნები, ხოლო ნამოსახლარის A_2 და A_1 ფენები კი დროის იმ მონაკვეთს, რომელიც

დიფერენცირდა როგორც მტკვარ-არაქსის IV ეტაპის დასასრული, რომელშიც აისახა მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურებისათვის ნიშანდობლივი კერამიკის თანაარსებობა (მახარაძე 1994, 75-76; Makharadze 2008, 66-67).

ადრე ბრინჯაოს ხანის მეორე ქრესტომათიული ნამოსახლარი, სადაც ასევე დადასტურდა ადრე ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ფენაში მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად ადრეყორღანული კულტურის ორივე ფაზის - მარტყოფისა და ბედენის კერამიკული ნაწარმის არსებობა არის ხაშურის ნაცარგორის ნამოსახლარი (რამიშვილი 2013, 11-13; ორჯონიკიძე 1992). ეს ფენა ასევე წარმოაჩენს მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანული კულტურების თანაარსებობის ამსახველ მონაკვეთს, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც ადრე ბრინჯაო IV/I ანუ ინტერმედიალური საფეხური, როცა ერთი კულტურის მიწურულს გამოჩენას იწყებს ახალი, მომდევნო კულტურის არქეოლოგიური არტეფაქტები.

გარდა ამისა, მტკვარ-არაქსის კერამიკის ნიმუშებთან ერთდროულად ადრეყორღანული კულტურის კერამიკის ნუმუშების არსებობა დადასტურდა კახეთში, ილტოს ნამოსახლარის ფენებში (საქართველოს არქეოლოგია 1992, ტაბ. LXXXV, LXXXVI). ასევე მისი არსებობა ჩანს ბერიკლდეების ნამოსახლარის ადრე ბრინჯაოს ხანის III ფენის მეხუთე სამშენებლო ჰორიზონტში (ჯავახიშვილი 2017, 75).

ზოგიერთი მკვლევარი ძეგლების კიდევ უფრო ფართო წრეს გულისხმობს, სადაც აღნიშნული ორი კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის თანაარსებობა დასტურდება და მათ შორის ასახელებს ზველის ნამოსახლარს სამცხე-ჯავახეთში (ორჯონიკიძე 1983), ბეშთაშენის ციკლოპური სიმაგრის II და III კომპლექსებს თრიალეთში, საჩხერის ზოგიერთ უგვიანეს სამარხებს, თრიალეთის # 12 ყორღანს და შულავერის ## 5 და 9 ყორღანებს (მახარაძე 1994, 73).

მკვლევარები ასევე აღნიშნავდნენ ისეთი ძეგლების შესახებ, როგორებიცაა სომხეთის კარნუტ-შენგავითის კომპლექსების თანადროული კომპლექსები აღმოსავლეთ საქართველოში: ამირანის გორა III, ილტოს ნამოსახლარი და ციხიაგორა, რომლებიც მიუთითეთებენ ახალი მატერიალური ტრადიციის განვითარებაზე ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის გაგრძელების ფონზე. ამ ახალი ტრადიციის ქვეშ კი ადრეყორღანების კულტურის მასალებს მოიაზრებენ (Badalyan, Avetisyan, Smith 2009, 52). სომხეთში ადრე ბრინჯაო IV/ შუა ბრინჯაო I - ის კუთვნილ იმგვარ ძეგლთა შორის, სადაც ჩანს ლოკალური ადრეყორღანების კერამიკული ტრადიციის მომდინარეობა მტკვარ-არაქსის კერამიკისაგან, მიუთითებენ შენგავითის ## 1-3 ყორღანებს, დვინის, ნორ ოშაკანის და მაისიანის ## 4 და 5 სამარხებს (Badalyan, Avetisyan, Smith 2009, 52-53, Fig. 9). შესაბამისად, მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ კარნუტ-შენგავითისა და ადრე ყორღანების მასალების ერთდროულად გამოჩენა ადრედან-შუა ბრინჯაოს ხანაზე ტრანზიტულ ეტაპზე გვთავაზობს ტრანსფორმაციას მასალათა რეპერტუარში (Badalyan, Avetisyan, Smith, 2009, 54).

ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულის ფენაში ახალი, ადრეყორღანული კულტურის კერამიკის უდავოდ გამოჩენას გვიდასტურებს ნამოსახლარი ფენების მონაცემები, რომელიც შიდა ქართლიდან მოშორებით აღმოსავლეთ ანატოლიაშიც დაადასტურა არქეოლოგმა ა. საგონამ სოს ჰუიუკის ნამოსახლარის VD ფენაში (Sagona 2000, 329-373, Figs. 14-17).

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის მიღმა, მეორე ამგვარი ძეგლი, სადაც ადრე ბრინჯაო IV/ შუა ბრინჯაო I ფაზის კერამიკული მონაცემების თანაარსებობა დასტურდება არის ნორშუნ თეფეს ნამოსახლარის ადრე ბრინჯაოს ხანის 6-8 ფენები (Hauptmann 1969, Fig.11).

თუ შევაჯამებთ ყოველივეს, მკვლევარები თანხმდებიან, რომ ზოგადად, მტკვარ-არაქსსა და ადრეყორღანულ კულტურას შორის ტრანზიტულობა შეიძლება განისაზღვროს შემდეგ სამ განსხვავებულ კერამიკულ მასალებს შორის სტრატიგრაფიული ურთიერთობით:

ა) მტკვარ-არაქსის ნამოსახლართა ფენები, სადაც არ არის შერეული მასალები (კარნუტი, შენგავითი IV, ციხიაგორა B_3 ფენა, ნორშუნ თეფეს 13-9 ფენები).

ბ) ნამოსახლართა ფენები, სადაც მტკვარ-არაქსული კერამიკა აღმოჩნდა ადრეყორღანულ თიხის ჭურჭელთან ერთად (დვინი, ამირანის გორა III, ციხიაგორა B_2, B_1 და A ფენები, ილტო, ნორშუნ თეფეს 8-6 ფენები).

გ) სამარხები, რომლებიც პირველად, თუ არა გამონაკლისად, შეიცავენ ადრეყორღანული კულტურის მასალებს (შენგავითის აკლდამები, ილტო, ამირანის გორა, სოს ჰუიუკი).

ამ მონაცემებით მკვლევარები ადასტურებენ მტკვარ-არაქსსა და ადრეყორღანულ კულტურებს შორის ინტერმედიალური მონაცემების არსებობას (Badalyan, Avetisyan, Smith, 2009, 55).

როგორც ადრე ბრინჯაოს ხანის ევროპული არქეოლოგიური სკოლის ცნობილი მკვლევარები ჯ.პალუმბი და კ. შატენიე მიუთითებენ, მტკვარ-არაქსის კულტურის თარიღის ფინალური მომენტი თითქმის მთელს რეგიონში დაკავშირებული იყო სწორედ ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის შუა ხანასა და მის შემდგომ მოკლე პერიოდთან. კავკასიიდან დაწყებული ლევანტის ჩათვლით ამ კულტურის ტრანზიტი „პოსტ-მტკვარ-არაქსში“ ხასიათდებოდა უფრო მეტი გარდატეხებით, ვიდრე განგრძობითობით, რამდენადაც ეს ცვლილებები დაკავშირებული იყო ახალი კულტურული მოდელის და სოციალური წესრიგის დაწყებასთან (Palumbi, Chataigner, 2014, 257). სამხრეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის ნამოსახლარების დანგრევა აღინიშნა სუსტი არქიტექტურული ნაშთების დროებითი ათვისებით ყორღანული დაკრძალვის ტრადიციასთან ერთად. მარტყოფისა და ბედენის ეტაპები ხასიათდებოდა მონუმენტური დასაკრძალავი სამარხებით, რომელიც მასში წარმოდგენილი მდიდრული ინვენტარის საფუძველზე ხაზს უსვამდა ელიტის მმართველობის ახალი ფორმის დაწყებას რეგიონში. უფრო კონკრეტული და მკაფიოა ბ. ლიონეტი, რომელიც მიუთითებს, რომ ადრეყორღანების კულტურისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის ახლი ტრადიცია გვიჩვენებს აღმოსავლეთ საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ძლიერი საზოგადოების არსებობას, რომელიც მესაქონლეობასა და სავაჭრო აქტივობასთან იყო დაკავშირებული, და დროის რაღაც სულ მცირე მონაკვეთში თანაარსებობდა, მტკვარ-არაქსის მოსახლეობასთან. სხვა მკვლევარი, ე.როვა, მართალია, მწირად თვლის შიდა ქართლის იმ მასალას, რომელიც მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანული კულტურის მოსახლეობის თანაარსებობაზე მიუთითებს, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, მტკვარ-არაქსული კერამიკული ტრადიციის განგრძობადობას და აშკარა არსებობას მარტყოფის კერამიკულ მასალაში (Rova 2014, 47-69).

საყურადღებოა თურქი არქეოლოგის მ. იშიკლის მიერ არაერთ ძეგლზე დადასტურებული მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ხანგრძლივად გამოყენების ფაქტი ჩრდილო-

აღმოსავლეთ ანატოლიაში, კონკრეტულად იქ, სადაც მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანების თანაარსებობის დაშვებაა შესაძლებელი. აღმოსავლეთ ანატოლიის მრავალფენიან სოს ჰუიუკის ნამოსახლარის მიხედვით კი თვით ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის დასაწყისის ფენაში ჩანს მტკვარ-არაქსული ტრადიციის შენარჩუნება, რაც ა. საგონას ექსტრაორდინალურად, კონსერვატიულად და მტკვარ-არაქსის ამ რეგიონში განგრძობად მიაჩნია.

ერთ-ერთი საყურადღებო რეგიონი, სადაც ასევე ჩნდება მტკვარ-არაქსის კერამიკული ტრადიციის გაგრძელება არის ჩრდილო-დასავლეთ ირანი, სადაც სწორედ ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის შუა ხანაში თავს იჩენს ცვლელებები და მკაფიო გარდატეხები. ამაზე მიუთითებს ურმიის რეგიონში ჯ. პალუმბისა და კ. შატენიეს მიერ აღნიშნული მტკვარ-არაქსის ნამოსახლართა გენერალიზებული გაუკაცრიელება ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის მეორე ნახევარში ანუ მაშინ, როცა ადრე ბრინჯაოს ხანის ამ კულტურას უკვე არსებითად ამოწურული აქვს არსებობა. ყველაზე საყურადღებო მონაცემებს მაინც ირანში, კანგავარის ველზე შესწავლილი გოდინ თეფეს ნამოსახლარი იძლევა, სადაც ზემოთ აღნიშნული გარდატეხისა და სიახლეების პერიოდი ისევე მკაფიოდ თარიღდება ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის შუა ხანით, როგორც სამხრეთ კავკასიაში. ცვლილებები აშკარად დასტურდება გოდინ მე-4 ფენის, რომელიც საკუთრივ მტკვარ-არაქსული კულტურის კუთვნილი ნამოსახლარია, დასასრულსა და შემდგომ გოდინ მე-3ბ ფენაზე (ეს კი უკვე სხვა კულტურის და ეტაპის საფეხურია) გადასვლას შორის პერიოდში. ეს ტრანზიტი კი, რომელიც ემთხვევა ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის შუა ხანას გვიჩვენებს ცვლილებების ის კომპლექსს, რომელიც სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ძეგლებზეც მკაფიოდ ჩანს. ამ მხრივ გოდინ თეფეს, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქრესთომატიული ნამოსახლარის, მონაცემები საგრძნობლად ამაგრებს ჩემსა და არაერთი სხვა მკვლევარების ვარაუდს სწორედ ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში მომხდარი ცვლილებებისა და მისი ინტერმედიალურობის სასარგებლოდ. შესაბამისად, მე სრულიად ვიზიარებ ჯ. პალუმბისა და კ. შატენიეს პოზიციას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირებისა და განვითარების საფეხურებთან ერთად სწორედ მისი დასასრულის ფენომენი უნდა ვიკვლიოთ ინტერრეგიონალური ურთიერთობებისა და ისტორიული პროცესების მრავალფეროვნების კონტექსტში (Palumbi, Chataigner, 258).

რადგან მტკვარ-არაქსის კულტურა იყო „გლობალური“ ფენომენი ძვ. წ. მე-3 ათასწლეულის კავკასიისა და წინა აზიის სამყაროში, თანაც მისი დასაწყისიდან სულ დასასრულამდე, ამიტომ მტკვარ-არაქსის პოსტ-ფინალურ საფეხურზე მომხდარი გარდატეხა ანუ ახალი, ადრეყორღანების კულტურული პლასტის პირველი გამოჩენა, ვფიქრობთ, რომ მკაფიო სიგნალი იყო ახალი გეოკულტურული სინამდვილის დასაწყისის სასარგებლოდ. სწორედ ეს ინტერმედიალური ფაზა იყო მომასწავებელი არსებით ცვლილებათა პროცესის დასაწყისისა, რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ მოჰყვა ადრეყორღანული კულტურის ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დამკვიდრება შიდა ქართლის რეგიონში.

ორი მნიშვნელოვანი მრავალფენიანი ნამოსახლარის - კავთისხევის ციხიაგორასა და ხაშურის ნაცარგორის ადრე ბრინჯაოს ხანის ფენების კერამიკული კომპლექსები, ზემოაღნიშნულ ყველა სხვა ძეგლებთან ერთად, ცხადს ხდიან ინტერმედიალური ფაზის არსებობას და მის თავისებურებებს, როცა ხდება ორი ურთიერთმომდევნო კულტურის კვეთა (cross-linking) და ცვლილებების დასაწყისი. ის უშუალოდ აგრძელებს მტკვარ-არაქსის

ფინალურ, მესამე საფეხურს და მოასწავებს ახალი, ადრეყორღანული კულტურის უადრესი ნაკადის დასაწყისს, რომელმაც მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში იჩინა თავი.

ადრე ბრინჯაო IV/I, ესაა მონაკვეთი, როცა მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანების კულტურები ერთმანეთს ხვდება ძალიან მოკლე პერიოდის მანძილზე. ამ ინტერმედიალური ეტაპის ძეგლები ჯერ კიდევ საკმაოდ ლიმიტირებული რაოდენობითა გვაქვს, თუმცა ისინი მაინც ნათლად წარმოგვიჩენენ ორივე ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციების შეხვედრის რთულ კულტურულ ლანდშაფტს.

სხვაგვარად, ამ ინტერმედიალურ პერიოდში ფაქტობრივად აკუმულირდა მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანებისთვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმის თანაარსებობა, რამაც საშუალება მოგვცა მკვლევარებს ის ცალკე ფაზად მოგვეაზრებინა. კერძოდ კი, კულტურის, და ეპოქისაც, ცვლის უშუალოდ წინარე ეტაპის ამსახველად, როცა ყველაზე არსებით გარდატეხებსა და ახალი ადრეყორღანული კულტურის ისტორიის ასპარეზზე დამკვიდრების პროცესის სრულიად დასაწყისს აქვს ადგილი.

საფიქრებელია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის ხანაში საერთოქართველური ენის დაშლის პროცესი ქრონოლოგიურად ფარავს ინტერმედიალურ ეტაპსაც, რომელიც ამსახველია არა მხოლოდ მატერიალურ კულტურაში მიმდინარე ცვლილების, არამედ ლინგვისტურ სფეროში მომხდარი რთული პროცესების მხრივაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

მახარაძე, ზურაბ. 1994. *ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი.* თბილისი:“მეცნიერება“.

ორჯონიკიძე, ალექსანდრე. 1983. *სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში.* თბილისი: „მეცნიერება“.

ორჯონიკიძე, ალექსანდრე. 1992. *შერეულკერამიკიანი კომპლექსები შიდა ქართლიდან.* თბილისი: „მეცნიერება“.

რამიშვილი, ალექსანდრე. 2013. *ნაცარგორა. ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი.* თბილისი: „მწიგნობარი“.

საქართველოს არქეოლოგია.1992. *ენეოლითი-ადრებრინჯაოს ხანა.* ტ. II. რედ.: ო. ჯაფარიძე. თბილისი: „მეცნიერება“

ფუთურიძე, მარინე. 2012. *ადრელითონების ხანის ანატოლიურ-სამხრეთკავკასიური კავშირურთიერთობების კვლევა არქეოლოგიურ მეცნიერებაში და მისი პერსპექტივები.* კავკასიოლოგიური ძიებანი, #4, 219-242. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ჯავახიშვილი, ალექსანდრე. 2017. *ბერიკლდეების ნამოსახლარი.* თბილისი: “საქართველოს ეროვნული მუზეუმი“.

ჯაფარიძე, ოთარ. 2003. *საქართველოს ისტორიის სათავეებთან. პირველყოფილი ეპოქა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჯაფარიძე, ოთარ. 2006. *ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან.* თბილისი: „არტანუჯი“.

Badalyan, Ruben, Avetisyan Pavel, Smith Adam. 2009. *Periodization and Chronology of Southern Caucasia: From the Early Bronze Age Through the Iron III Period*. In: The Foundations of Research and Regional Survey in Tsaghkahovit Plain, Armenia. 33-94, Chicago: The University of Chicago.

Hauptmann, Harald. 1969. *Norşun-Tepe: Historische Geographie und Ergebnisse der Grabungen 1968/69.* In: Istanbuler Mitteilungen, #19-20. 21-78. Berlin: Vier-Türme GmbH, Benedict Press.

Palumbi, Gulio, and Chataigner Christine. 2014. *The Kura- Araxes Culture from the Caucasus to Iran, Anatolia and the Levant: Between Unity and Diversity. A Synthesis.* In: Paleorient, vol. 40, # 2, 247-260. Nanterre: CNRS Editions.

Rova, Elena., Makharadze Zurab., Puturidze Marina. (2017). *Khashuri Natsargora: New Research on the Kura-Araxes and Bedeni Cultures in Central Georgia.* In: SUBARTU, XXXVIII, At the Northern Frontier of Near Eastern Archaeology. Recent Research on Caucasia and Anatolia in the Bronze Age, (Eds. E.Rova & M. Tonussi), 153-172, Brussels:”Brepols”.

Rova, Elena. 2014. *The Kura-Araxes Culture in Shida Kartli Region of Georgia: An overview.* In: Paleorient, vol. 40, # 2, 47-69. Nanterre: CNRS Editions.

Sagona, Antonio. 2000. *Sos Hoyuk and the Erzrum Region in Late Prehistory: A Provisional Chronology for Northeast Anatolia.* In: Chronologie des pays du Caucase et de l’Euphrate aux IVe -IIIe millenaires. Edited by C. Marro and H. Hauptmann. 329-373. Istanbul: Institut francais d’etudes anatoliennes d’Istanbul.